



Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



II კვ. 2024

გამოცემა 26

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, II კვ. 2024



Research

„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.*

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2024 წლის ივნისში.

**იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს. გამოხმაურების დონე, მესამლოა, მერყეობდეს კვარტლების მიხედვით.*

შეტამება



Research


2024 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის მთავარი მიგნებებია:

- ქართველი ეკონომისტები *მცირედით ნეგატიურად* აფასებენ საქართველოს *მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას*. მათი მოლოდინი *მომდევნო ექვსი თვის თავზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის* მიმართ ასევე *ნეგატიურია*. შეფასებები მნიშვნელოვნადაა გაუარესებული წინა კვარტლებთან შედარებით.
- 2024 წლის პროგნოზი *რეალური მშპ-ს მრდასთან დაკავშირებით* საშუალოდ *5.5%-ს* შეადგენს.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი გაიზრდება. 2024 წლისთვის *მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი* საშუალოდ *5.0%-ია*.
- მოსალოდნელია, რომ მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, *ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები შემცირდება*.
- დამატებით, გამოკითხული ეკონომისტების თანახმად:
 - საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა *პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ვალუტის კურსის ცვალებადობამ*.
 - *„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის* ხელმეორედ ინიცირება საქართველოს ეკონომიკისთვის *ნეგატიურად* შეფასდა. მოსალოდნელია, რომ კანონი უარყოფითად იმოქმედებს *ევროკავშირში განუვრიალების პროცესზე, უცხოურ ინვესტიციებსა და ვალუტის კურსზე*.
 - *„ოფშორების კანონის“* შესახებ გამოკითხული ეკონომისტების აზრი მნიშვნელოვნად იყოფა. ნაწილი თვლის, რომ მას არანაირი გავლენა არ ექნება, მეორე ნაწილი კი კანონს ნეგატიურად აფასებს. მათი აზრით, კანონს ყველაზე ნეგატიური გავლენა ექნება *საქართველოს ფინანსური სისტემის რეპუტაციაზე*.
 - საქართველოს პარლამენტში ინიცირებული *საპენსიო სააგენტოს ცვილილებებიდან*, ყველაზე *უარყოფითად* შეფასდა *საბჭოს დაკომპლექტებაში მთავრობის გაზრდილი როლი*, ხოლო ყველაზე *დადებითად - სხვა აქტივებში ინვესტირებაზე გაზრდილი ლიმიტი*.
 - რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი არ დაეთანხმა საქართველოს *ეროვნული ბანკის* მიერ 7 ტონა ოქროს შექენას, ვიდრე დაეთანხმა.
 - რესპონდენტთა უმეტესობა ემხრობა *ანაკლიის პორტის მშენებლობას*, თუმცა პარტნიორად უკეთესი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპანიას ისურვებდნენ, ვიდრე ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

- გამოკითხვის თანახმად, 2024 წლის II კვარტალში ქართველი ეკონომისტების მიერ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა მცირედით უარყოფითად შეფასდა. მათი შეფასება გაუარესდა როგორც 2024 წლის I კვარტლის, ასევე, 2023 წლის II კვარტლის შეფასებასთან შედარებით.
- 2024 წლის II კვარტალში გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის თავზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ არსებითად ნეგატიურია. მათი მოლოდინი ასეთი პენსიისტური 2021 წლის I კვარტლის შემდეგ არ ყოფილა.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, II კვარტალი




მაკროეკონომიკური პროგნოზები


გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექს-

პერტებმა გააკეთეს საქართველოსთვის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი.

გრაფიკი 1: რეალური მშპ-ს ზრდა საქართველოში და მისი პროგნოზი 2024 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის II კვარტალში)



გრაფიკი 2: საშუალო წლიური ინფლაცია საქართველოში და მისი პროგნოზი 2024 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის II კვარტალში)



- 2024 წლის პროგნოზი **რეალური მშპ-ს ზრდასთან** დაკავშირებით საშუალოდ **5.5%-ს** შეადგენს.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, მოსალოდნელია წლიური ინფლაციის ზრდა. 2024 წლისთვის **მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი** საშუალოდ **5.0%-ია**.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, წინა წლის შესაბამის პერიოდთან


შედარებით, მოსალოდნელია, რომ ქართული ლარი **გაუფასურდება** აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, ხოლო **გამყარდება** რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთან მიმართებით.

- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, 2023 წელთან შედარებით, მოსალოდნელია **ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შემცირება**.

დამატებითი კითხვები

- გამოკითხვის ფარგლებში, 2024 წლის II კვარტალში ეკონომისტებმა პოლიტიკური არასტაბილურობა და ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა დაასახელეს საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე ფაქტორებად. ასევე, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორებს შორის აღმოჩნდა მუშახელის დეფიციტი, ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი და უკრაინაში მიმდინარე ომი.
- გამოკითხული ეკონომისტების შეფასებით, საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფით ფაქტორებს (პოლიტიკური არასტაბილურობა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა) უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე პოზიტიურ ფაქტორებს (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება და დაბალი ინფლაცია).

გრაფიკი 3: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) რომელ ფაქტორებს ჰქონდათ ყველაზე დიდი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 2024 წლის II კვარტალში




დამატებითი კითხვები

- 2024 წლის აპრილში "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის ხელშეწყობის ინიციატივამ საქართველოს მთავრობის გეოპოლიტიკური კურსის შესაძლო ცვლილებებზე მიუთითა. კანონპროექტმა მასობრივი პროტესტი და ევროკავშირისა და აშშ-ის შემოთება გამოიწვია.
- თითქმის ყველა გამოკითხული ეკონომისტი (97%) ფიქრობს, რომ კანონი


უარყოფითად ან ძალიან უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე.

- რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კანონს ყველაზე დიდი გავლენა ევროკავშირში განევრინების პროცესზე, უცხოურ ინვესტიციებსა და ვალუტის გაუფასურებაზე ექნება.

გრაფიკი 4: თქვენი აზრით რა ეფექტი ექნება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს საქართველოს ეკონომიკაზე?



გრაფიკი 5: თუ ფიქრობთ, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, შეაფასეთ მისი გავლენა თითოეულ ასპექტზე 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა)




დამატებითი კითხვები

- 2024 წლის II კვარტალში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ე.წ. „ოფშორების კანონი“, რომელიც საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ აქტივებს ოფშორიდან საქართველოში გადმოიტანენ.
- „ოფშორების კანონთან“ დაკავშირებით გამოკითხული ეკონომისტების


აზრი მნიშვნელოვნად იყოფა. ნაწილი თვლის, რომ კანონს არანაირი გავლენა არ ექნება (38%), სხვებმა კი კანონი **ნეგატიურად ან ძალიან ნეგატიურად** შეაფასეს (55%).

- მათგან, ვინც კანონი ნეგატიურად შეაფასა, უმეტესობა ფიქრობს, რომ კანონს ყველაზე ნეგატიური გავლენა საქართველოს ფინანსური სისტემის რეპუტაციაზე ექნება.

გრაფიკი 6: თქვენი აზრით რა გავლენა ექნება „ოფშორების კანონს“ საქართველოს ეკონომიკაზე?




გრაფიკი 7: თუ ფიქრობთ, რომ „ოფშორების კანონს“ უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, შეაფასეთ მისი გავლენა თითოეულ ასპექტზე 1-დან (არ ექნება ეფექტი) 5-მდე (ძალიან ძლიერი ეფექტი)



დამატებითი კითხვები


- 2024 წლის მაისში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საქართველოს პარლამენტში დააინიცირა ცვლილებები საპენსიო სააგენტოში. შესაბამისად, გამოკითხულ ეკონომისტებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ თითოეული ცვლილება.
- ცვლილებებს შორის, მთავრობის გამრდილი როლი საბჭოს დაკომპლექტებაში ყველაზე ნეგატიურად შეფასდა (77%), ხოლო სხვა აქტივებში ინვესტირების ლიმიტის ზრდა - ყველაზე პოზიტიურად (74%).

გრაფიკი 8: 1-დან (ძალიან ნეგატიური) 5-მდე (ძალიან პოზიტიური) შეაფასეთ საპენსიო სააგენტოს ფუნქციონირების მოცემული ცვლილებები.



- საქართველოს ეროვნული ბანკმა (სებ) ახლახანს შეიძინა, \$500 მილიონი ლირებულების, 7 ტონა ოქრო, საერთაშორისო რეზერვებისათვის.
- გამოკითხული ეკონომისტთაგან უფრო მეტი არ დაეთანხმა სებ-ის გადანყვეტილებას, ვიდრე დაეთანხმა.


გრაფიკი 9: როგორ შეაფასებდით სებ-ის გადანყვეტილებას?



დამატებითი კითხვები

- 2024 წლის მაისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობისათვის საერთაშორისო ტენდერში ერთადერთი მონაწილე და გამარჯვებული ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი გახდა.* ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კრიტიკა China Communication Construction Company-სთვის (CCCC) აშშ-ის** მიერ სანქციების დაწესებასა და შავი ზღვის რეგიონში ჩინეთის გავლენის გაზრდის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით.
- რესონდენტთა უმეტესობა (53%) მხარს უჭერს გადაწყვეტილებას, თუმცა უკეთესი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპანიას
- გამოკითხული ეკონომისტების მესამედზე მეტი (37%) კი ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებს საქართველოში ჩინელი აქტორები არ უნდა ახორციელებდნენ.

გრაფიკი 10: როგორ შეაფასებთ ანაკლიის პორტის ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის მიერ აშენების გადაწყვეტილებას?




* ინვესტორის შერჩევის შემდეგ შეიქმნება ერთობლივი კომპანია, სადაც საქართველოს სახელმწიფოს კომპანიის 51%-იანი წილი ექნება, ხოლო კერძო პარტნიორს - 49%.


** CCCC-ს დაუწესდა სანქციები აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ხელოვნური კუნძულების სამხედრო მიზნებისთვის აშენებისთვის.

სხვა ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში


გრაფიკი 8: მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში




გრაფიკი 9: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 10: სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 11: უმუშევრობის დონე



* წინასწარი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამონვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამონვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
მკვლევარი
a.chkhenkeli@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

გიორგი შოგირაძე
უმცროსი მკვლევარი
g.shogiradze@pmcginternational.com